

1

მაისი

პასექის IV კვირა [IV], თ

წმ. იოსებ მშრომელი

2021

შ ა ბ ა თ ი

საქმ 13,44-52; ფს 97; იო 14,7-14

უღის „ქვედა ეკლესიის“ დღეობა
დიდი შაბათი მართლმადიდებელ ეკლესიაში

გვიჩვენე მამა და
კმარა ჩვენთვის იო 14,8

დღეს მაისი იწყება, როდესაც მარიამის დედობრივ სიახლოვეს ვგრძნობთ განსაკუთრებით. და თვის ამ პირველ დღეს მადლობას ვუძღვნიტ წმიდა იოსებს მუყაითი სიახლოვისათვის მასთან და იესოსთან. მარიამთან ერთად, იგი გვიდასტურებს მამის სიკეთეს, სიფაქიზეს და გულმოწყალებას, იმ მამისა, რომლის დანახვაც გვწადია, რათა მუდმივად დავტკბეთ მისი სიყვარულით.

2

მაისი

პასექის V კვირადღე, «ბ», [I], თ

2021

კვირა

საქმ 9,26-31; ფს 21; 1იო 3,18-24; იო 15,1-8

აღდგომა მართლმადიდებელ ეკლესიაში

დარჩით ჩემში და მე თქვენში იო 15,4

იესოს ადარდებს ჩვენი სიცოცხლე, ამისათვის სურს რომ მასთან ვიყოთ ერთობაში, რაკი თავად მასთანაა ერთობაში. იყენებს ვაზისა და ლერწმების შედარებას, რათა თავისი მნიშვნელობა გაგვაგებინოს. მის გარეშე გამხმარი ტოტი ვიქნებოდი, მასთან ერთად ჩემი სიცოცხლე ბევრს გამოადგება, მამის საჩუქრად იქცევა მთელი მსოფლიოსათვის.

3

მაისი

2021

წმიდანნი ფილიპე და იაკობ
მოციქულნი, დ, [ს], წ

ო რ შ ა ბ ა თ ი

1კორ 15,1-8; ფს 18; იო 14,6-14

მიცვალებულთა დღე მართლმადიდებლურ ეკლესიაში

არა გწამს, რომ მე მამაში ვარ
და მამა – ჩემში? იო 14,10

თხოვნა, რომლითაც ფილიპემ მიმართა იესოს, ძვირფას პასუხს ღებულობს: მამა ვლინდება ძის საშუალებით. კიდევ უფრო ყურადღებით გავიცნობ მას, დავუფიქრდები მის სიტყვებს, ვეთაყვანები ჩემს გულში. ყოველი ჩემი ყურადღება იესოსადმი, მამის სიყვარულში შთაფვლაა!

4

მ ა ი ს ი

პასექის V კვირა [I], თ

2021

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

საქმ 14,19-28; ფს 144; იო 14,27-31

მშვიდობას გიწოვებთ თქვენ,
მშვიდობას ჩემსას გაძლევთ
თქვენ იო 14,27

როგორც კი მომიხდა ჩხუბი, მაშინვე მივედი იესოსთან. მან გამინათა. ვუოვე ახალი სიტყვები და განსხვავებული განწყობა, რათა ხელახლა დავახლოვებოდი ჩემს ძმას. მხოლოდ იესოს ძალუძს ეს.

5

მაისი

პასექის V კვირა [I], თ

2021

ოთხშაბათი

საქმ 15,1-6; ფს 121; იო 15,1-8

ყოველ უნაყოფო ღერწს
ჩემში ის მოაშორებს იო 15,2

ზოგჯერ ვეკითხები ხოლმე ჩემს თავს, ვარ თუ არა მზად, რომ მამამ გამსხლას. ზოგიერთი ჩემი დამოკიდებულებები და სურვილები არ ემსახურება ღვთის სასუფეველს: არ უნდა გამოვეტურო მათ, თუ მომაშორეს. და რაკი მიწის მუშაკი იმ ღერწებსაც ამოკლებს, რომლებსაც ნაყოფი მოაქვს, კმაყოფილი უნდა ვიყო როცა უფალი ზღუდავს ან აკავებს ჩემს ქარიზმებს!

6

მაისი

პასექის V კვირა [I], თ

2021

ხუთშაბათი

საქმ 15,7-21; ფს 95; იო 15,9-11

აღვმართავ მას, რათა ეძებდნენ
უფალს დანარჩენი კაცნი საქმ 15,17

ძველი სიტყვები ახალი ნაბიჯებისათვის. იაკობი
აყრდნობს ამოს წინასწარმეტყველის სიტყვას თავის
წინადადებას ეკლესიაში გაჩენილი სერიოზული
დავის გადასაჭრელად.

მისი წინადადება მიღებულ იქნა და ყველამ მოიწო-
ნა. ამგვარად ჩვენც ვსწავლობთ ყოველი ნაბიჯის
დაყრდნობას ღვთის იმ სიტყვაზე, რომელიც უკვე
მოგვეცა ჩვენ.

7

მაისი

პასექის V კვირა [I], თ

2021

პარასკევი

საქმ 15,22-31; ფს 56; იო 15,12-17

ამას გიბრძანებთ:
გიყვარდეთ ერთმანეთი იო 15,17

დიდი მადლობა მმართეს იესოსი ამ მცნებისათვის. მისი წყალობით ხომ გავიზარდე ოჯახში და გარემოში, რომელში თითქოს ყველა ეჯიბრებოდა ერთმანეთს, განეხორციელებინათ და ერთმანეთისთვის შეესწორებინათ, რათა სულ უფრო უკეთ შეესხათ მისთვის ხორცი. ახლა მეც ვცდილობ, დავუჯერო, ვინაიდან მამის სახელი გაიცნონ და შეიყვარონ!

8

მაისი

პასექის V კვირა [I], თ

2021

შაბათი

საქმ 16,1-10; ფს 99; იო 15,18-21

კამილიელი დედა მარია ნიკოლოზის გახსენება (+2005)

მე თუ მდეკნიდნენ, თქვენც
დაგიწყებენ დევნას იო 15,20

ჩვენი რწმენით ცხოვრება არ ნიშნავს მშვიდობისა და კეთილდღეობის ძიებას ნებისმიერ ფასად. ჩვენ ყველანაირად ვეცდებით დავყვეთ და გავუგონოთ იესოს, მაშინაც კი, თუ ჩვენს მორჩილებას არასწორად გაიგებენ ისინი, ვინც ჯერ არ იცნობს მას. მნიშვნელოვანია, რომ მათაც დაინახონ ნამდვილი სიყვარული. თუ იხილავენ, შეეძლება სწავლაც!

9

მ ა ი ს ი

პასექის VI კვირადღე, «ბ», [II], თ

2021

კ ვ ი რ ა

საქმ 10,25-26.34-35.44-48; ფს 97; 1იო 4,7-10; იო 15,9-17

ნაცოზმზე გამარჯვების დღე

თქვენ ჩემი მეგობრები ხართ,
თუ ასრულებთ იმას,
რაც გამცნეთ იო 15,14

იყო იესოს მეგობარი! ღირს კი? რას გამოვრჩები?
ეჭვგარეშეა, თუ იესოს მეგობარი გავხდები, ღვთის
თვალში დამედება ფასი. როდესაც მის სიტყვას
ვასრულებ, ვიწყებ მამის სიყვარულით ცხოვრებას
და მის სახეს ვუცხადებ გარშემო მყოფ სამყაროს.

10

მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

2021

ორშაბათი

საქმ 16,11-15; ფს 149; იო 15,26 - 16,4

უფალმა გაუხსნა გული, რათა
პავლეს სიტყვები მიეღო საქმ 16,14

ვინაა ეს ქალი? ლიდია, მდიდარი მოვაჭრე ფილიპეს ქალაქში, მაკედონიაში ჩასული ტიატირიდან, მცირე აზიიდან. მისი გული გაიხსნა იესოს შესაყვარად.

პირველი ნაყოფია ახალი გულუხვობა: ჯიუტად მოითხოვს, რომ პავლემ და სილამ უარი არ უთხრან სტუმართმოყვარეობაზე. იესოს შეყვარება ყოველთვის ღვთის მადლია, მისი მოძღვრების მიღების უნარი. შევთხოვ ამ ნიჭს ჩემთვის და ჩემი ძვირფასი ხალხისათვის, იმის ნაცვლად რომ ჩივილს მოგყვეთუკი მავანი ავლენს, რომ ჯერაც არ მიუღია ის.

11

მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

2021

სამშაბათი

საქმ 16,22-34; ფს 137; იო 16,5-11

მ. იეჟი შიმეროვსკის გახსენება (+2016)

მოინათლა იგი მთელ თავის
სახლთან ერთად საქმ 16,33

ის არის ციხის მცველი, რომელსაც ავალია
დამნაშავეთა სატუსალოს დაცვა, სადაც პავლე და
სილა შეკრულნი არიან განაჩენის მოლოდინში.
მიწისძვრამ ყველაფერი შესძრა. ეს კაცი მიხვდა,
რომ იესოს ორ მოწაფეს ჰქონდა ახალი სიცოცხლე
და სთხოვა კიდევ მათ ის.

12

მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

წმმ. ნერეოს და აქილევის, წამ. + III ს.;

წმ. პანკრაციუსი, წამ. + 304

2021

ოთხშაბათი

საქმ 17,15.22 - 18,1; ფს 148; იო 16,12-15

წმ. ანდირა მოციქულის დღესასწაული
საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიაში

როდესაც მოვა სული ჭეშმარი-
ტებისა, შეგიძლევით სრულ
ჭეშმარიტებაში იო 16,13

ხშირად პილატეს ვგავართ ხოლმე, იესოს რომ ეკითხება: რა არის ჭეშმარიტებაო? მისგან განსხვავებით ჩვენ პასუხის გაგებაც გვსურს. საბოლოო და ურყევი ჭეშმარიტება, ძალაში რომ იქნება დღესაც და ხვალეც, არის ის, რასაც ხედავს მამა! ის კი მუდამ ყოველივე ხედავს თავისი სიყვარულის ნათელში. ჩვენ ვიყენებთ ხოლმე ყალბ შუქებს, მაგალითად შურის, სიბილწის, ამაოებისა და ამპარტავნების შუქებს: ამიტომ ვტყუვდებით. დაველოდოთ საიმედო ნათელს, სულიწმიდას!

13

მაისი

2021

ზეცად ამალღება უფლისა ჩვენისა იესო
ქრისტესი, «ბ», დდ, [ს], თ
ცალკეულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს დამდეგ კვირადღეს.
ამ შემთხვევაში: ფატიმის ნეტ. ქალწ. მარიაში - 1917
ხუთშაბათი

საქმ 1,1-11; ფს 46; ეფ 4,1-13; მარ 16,15-20

ბუზმარეთის კათოლიკური ეკლესიის დღეობა.

უფალი ადასცურებდა სიტყვას
თანამდევი ნიშნებით მარ 16,20

იესომ აღაპყრო ხელნი მოციქულების დასალო-
ცად და მიავლინა ისინი მთელ მსოფლიოში, ვიდრე
გაქრებოდა მათ თვალთახედვიდან. ახლა იგი მათ
თან ახლავს იდუმალი სახით და ანიჭებს თავისი
სიახლოვის გასაოცარ ნიშნებს. ისინი სარგებლობენ
ამით და მისგან იღებენ გამბედაობას და ძალას. მათ
იციან, რომ იგი მამის მარჯვნივ ზის და მისი სიტყვა
კვლავაც უნათებს მათ.

14

2021

მაისი

წმ. მატათა მოციქული, დ, [ს], წ

(1.V) წმ. თამარ მეფე, +1213;

წმ. მარია დომენიკა მაცარელო, +1881,
საღვთო ღმერთის კონგრეგაციის დამაარსებელი

პარასკევი

საქმ 1,15-17.20-26; ფს 112; იო 15,9-17

მე აგირჩიეთ თქვენ იო 15,16

მატათა მოციქული არჩეულ იქნა უფლის მიერ
სრულებით განსაკუთრებული სახით: სხვა მოცი-
ქულებმა ილოცეს უბრალოებით და შემდეგ წილი
ჰყარეს მასსა და იოსებს შორის; წილი მას შეხვდა.

უფლისაგან ამორჩეული მოციქულების ხელით,
იესო ახლა მათი საშუალებით მოქმედებს ყველაფე-
რში. რა მშვენიერია და ძვირფასი ეკლესია! მასში
იესო იმყოფება და მოქმედებს.

15

მაისი

პასექის VI კვირა [II], თ

2021

შაბათი

საქმ 18,23-28; ფს 46; იო 16,23-28

სულთმოფენობის ნოვენის დასაწყისი

თვით მამას უყვარხართ იო 16,27

განვაგრძობთ სულთმოფენობის ნოვენას იესოს ამ დიდი გამოცხადებით: მამას უყვარვართ! უყვარვართ, რაკი გვიყვარს მისი ძე და მასთან ვართ ერთნი. უყვარვართ, ვინაიდან ძვირფასნი ვართ მის თვალში: მართლაც იესო – ძე, მოკვდა ჩვენთვის. მოვუხმობთ სულიწმიდას, რათა განუცხადოს მთელ ეკლესიას მამის სიყვარული, ხოლო ეკლესიამ განუცხადოს ეს მთელ მსოფლიოს!

16

მაისი

პასექის VII კვირადღე, «ბ», [III], თ
(კალკულ სამრევლოებში შეიძლება აღინიშნოს ამაღლება)

2021

კვირა

საქმ 1,15-17.20აგ-26; ფს 102; 1 იო 4, 11-16; იო 17,11ბ-19

რათა ჩვენსავით ერთი იყვნენ იო 17,11

საკრებულო მხოლოდ იმათი ერთობა როდია, ვინც იესომ დაიპყრო, არამედ ის (...) მთელ სამყაროს მოიცავს. ეკლესია ყოფილა ნაკურთხი სამყარო, ახალი ქმნილება სულიწმიდის ნამოქმედარი. ის ადამიანების გვერდით როდი არსებობს, არამედ – მათში. ადამიანი ეკლესიის წევრია იმდენად, რამდენადაც იგი ეკუთვნის საკრებულოს, და ამავე დროს ინდივიდია, რადგან თავისი პირადი არსების შუაგულში ჩაწერილია, რომ იგი ღმერთის პარტნიორია. (გვარდინი)

17

მაისი

პასექის VII კვირა [III], თ

2021

ორშაბათი

საქმ 19,1-8; ფს 67; იო 16,29-33

გამხნევდით, მე ვძლიე
სოფელს იო 16,33

უფალო იესო, შენი სიახლოვე სიმხნევითა და სიხარულით გვავსებს. შენ უწყი, რომ ის გარემო, რომელშიც ვცხოვრობთ ცდილობს წაშალოს შენი სიტყვა ჩვენი მეხსიერებიდან, და შენი ხსოვნა ჩვენი გულიდან. არადა შენა ხარ, შენი ჯვრით რომ შეგიძლია იმდერო გამარჯვების სიმღერა!

18

მაისი

პასექის VII კვირა [III], თ

წმ. იოანე I, პაპი და წამებული, + 526

2021

სამშაბათი

საქმ 20,17-27; ფს 67; იო 17,1-11

სოფლისთვის კი არ გეკედრები,
არამედ მათთვის, რომლებიც
შენ მომეცი იო 17,9

შენი ლოცვა, იესო, ძვირფასია მამის თვალში:
ის გისმენს შენ. მაღლობა, რომ ილოცე ჩემთვის
და სრულიად ეკლესიისათვის. ამის გამოა, რომ
იგი, მიუხედავად იმისა, რომ კვლავაც ცოდვას
ცოდვაზე ვამატებთ, ყოველ ეპოქაში სიწმიდის
ერთადერთი სკოლაა წუთისოფლად მყოფ წმიდანთა
ჩამოსაყალიბებლად.

19

მაისი

პასექის VII კვირა [III], თ

2021

ოთხშაბათი

საქმ 20,28-38; ფს 67; იო 17,11-19

უფრო მეტი სიხარულია გაცემში,
ვიდრე მიღებაში საქმ 20,35

გასცე, ნიშნავს მიბაძო მამის სიყვარულს. მიღებამ, თავმდაბლობისა და მაღლიერების გარეშე შესაძლოა თავკერძობაც გააძლიეროს. ბედნიერი ვართ გაცემში, ვინაიდან ამით ვთავისუფლდებით საკუთარი თავისაგან და მიწიერისგან, რათა შევუერთდეთ მამას, რომელსაც სწადია, რომ ყველანი ერთობაში ვიყოთ. სწორედ დღეს მოითხოვს იესო დაჟინებით, რომ გვსურდეს მასთან და მამასთან ერთობა.

20 მაისი

პასექის VII კვირა [III], თ

(7.V) წმ. ღირსი იოანე ზედაზნელი და მისი 12 მოწაფე, VII, (მ);
წმ. ბერნარდინე სიენელი, ხუცესი, +1444

2021 ხუთშაბათი

საქმ 22,30; 23,6-11; ფს 15; იო 17,20-26

მამაო, სადაც მე ვიქნები,
მსურს იქვე იყვნენ ისინიც,
ვინც მე მომეცი იო 17,24

იესო განაგრძობს ლოცვას, უმხელს მამას თავის გულის წადილს, რომ ჩვენს სახეებზეც გაბრწყინდეს ღვთის დიდება. ეს ხდება, როდესაც ერთობაში ვართ მასთან და ერთმანეთში, შურის, სიხარბისა და კუდაზნიკობის ბარიერების გარეშე.

21

მაისი

პასექის VII კვირა [III], თ

წმ. ქრისტოფორე მაგალანეს ხუც. და მეგ., წამ., +1927

2021

პარასკევი

საქმ 25,13-21; ფს 102; იო 21,15-19

სიმონ, გიყვარვარ? იო 21,17

კვლავ სულთმოფენობის სამზადისში ვართ.
მივიღებთ წმიდა სულს, როცა შევიყვარებთ იესოს.
როცა იესოს საკუთარ თავზე მეტად მივიჩნევთ,
მაშინ მისი სული იქნება ჩვენში და ისიც შეძლებს
მნიშვნელოვანი დავალებების მოცემას, რითაც
ძმებს გამოვადგებით.

22

მაისი

2021

შაბათი

პასექის VII კვირა [III], თ

(9.V) წმ. შიო მღვიმელი, VI ს, (მ), თ

წმ. რიტა კასიადან, +1447

საქმ 28,16-20.30-31; ფს 10; იო 21,20-25

მოდყევი

იო 21,22

იესო აღდგა და ბოლოჯერ ენახვება თავის მოციქულებს. ისინი ჯერაც არ არიან სრულებით მისებურნი. პეტრეს სჭირდება, რომ ახსოვდეს, რომ მოწაფეა და რომ მისი დავალება არის და მუდამ იქნება თავისი უფლის სკოლაში სიარული. როდესაც გაპყვება მას გადამწყვეტად, საკუთარი თავის სხვებთან შედარების გარეშე, მაშინ მისი ცხოვრება ნამდვილი მაგალითი იქნება: იგი გახდება მამისაკენ სავალ გზაზე ძმათა მიმზიდველი.

23

მაისი

სულთმოფენობა, «ბ», დდ, [ს], წ

2021

კვირა

საქმ 2,1-11; ფს 103; გალ 5,16-25; იო 15,26-27; 16,12-15

ბათუმის ახალი კათოლიკური ეკლესიის დღეობა

თქვენც დაამოწმებთ, რადგან
თავიდანვე ჩემთანა ხართ იო 15,27

დღეს ვზეიმობთ, რადგან ეკლესიაზე გადმოვიდა ღვთის წმიდა სული. აწი შეგვეძლება დავამოწმოთ, რომ იესო ნამდვილადაა ის, რასაც აღნიშნავს მისი სახელი: ღვისმიერი ხსნა. დავამოწმებთ მას ყველას წინაშე, იმათ წინაშეც, ვინც დანანებით იქნევს თავს ჩვენი შემყურე, ვინც გვითვალწუნებს, ვინც გვკიცხავს. მე დაგყვები იესოს, გულში შევინახავ და დავიცავ მის სიტყვას.

24

მაისი

რიგითი VIII კვირა [1]
წმ. მარიამ დედა ეკლესიისა, (მ), [ს], თ

2021

ორშაბათი

საქმ 1,12-14 ან, დაბ 3,9-15.20; ფს: ივლ 13,18-19; იო 19,25-27

მ. ივანე გვარამაძის გახსენება (+1912)

აი, დედა შენი! იო 19,27

დღეს ჩენი მზერა ყოვლადწმიდა მარიამისკენაა მიპყრობილი. იგი იმყოფებოდა იმ ოთახში, სადაც მოციქულნი ლოცვით ემზადებოდნენ იესოს მიერ დაპირებული „ზეგარდმო ძალის“ მისაღებად.

ყველა შეპყურებს მას, როგორც საკუთარ დედას, იმ სიტყვის მორჩილნი, რაც უფალმა უთხრა ჯვრის ქვეშ მდგარ მოწაფეს. იგი დედა ჩემიცაა: დიდი მადლობა მას ამისათვის.

25

მაისი

2021

რიგითი VIII კვირა [IV], მწ
წმ. ბედა ღირსი, ხც. და ეკ. მძღვ., +735;
წმ. გრიგოლ VII, პაპი, +1085;
წმ. მარია მაგდალენა დე პაცი, ქალწ., +1607

ს ა მ შ ა ბ ა თ ი

ზირ 35,1-12(1-15); ფს 49; მარ 10,28-31

ხელცარიელი არ მოხვიდე უფლის წინაშე

ზირ 35,6

ზირაქის წიგნი ძვირფას სწავლებებს შეიცავს სარ-
წმუნოებით ცხოვრებისა და ნამდვილი ღვთისმო-
საობისათვის. დღევანდელი ნაწყვეტი გვიცხადებს,
თუ რა არის ნამდვილად სათნო უფლისათვის:
გაუგონო და დაჰყვე მის სიტყვას. ჩვენ ცარიელი
ხელები გვაქვს, სრულებით ცარიელი, როდესაც
ვცხოვრობთ მისი მცნებების გაუთვალისწინებლად,
მისი სიბრძნის გარეშე.

26

მაისი

რიგითი VIII კვირა [IV]

წმ. ფილიპე ნერი, მღვდ. +1595, (მ), თ;
(13.V) წმ. ღირ. ექვთიმე მთაწმიდელი, +1028წ.

2021

ოთხშაბათი

ზირ 36,14-5.10-17(1-2.5-6.13-19); ფს 78; მარ 10,32-45

საქართველოს დამოუკიდებლობის დღე

რა გინდათ, რომ
შეგისრულოთ? მარ 10,36

ორ ძმას პრეტენზიები ჰქონდა. იესო მზადაა მო-
უსმინოს მათ, თუმცა არა იმისათვის, რომ შეუს-
რულოს მოთხოვნა. კიდევ კარგი, რომ იესო ყველა
ჩვენს თხოვნას არ ისმენს! დღეიდან ვთხოვთ მას
მხოლოდ, შეგვაძლებინოს მამის ნების აღსრულება.
მამის ნებაა ადამიანთა ხსნა, ის ხსნა, რომლისთვი-
საც ჯვარი საჭირო. შეგვაძლებინოს მამამ მისი
ტარება იესოსთან ერთად.

27 მაისი

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

წმ. ავგუსტინე კენტერბერიელი, ეპ., +604

2021 ხუთშაბათი

ზირ 42,15-25(15-26); ფს 32; მარ 10,46-52

იესო, შემიწყალე! მარ 10,47

ამ სიტყვებით ლოცულობს ერთი ბრმა მათხოვარი. საპასუხოდ იესო სთხოვს მას, სახალხოდ გამოხატოს თავისი სურვილი: ფული უნდა თუ სხვა რამ? სურს, თვალის ჩინი დაუბრუნდეს. იესოც დაანახევებს მისივე თვალეზით თვის სახეს. და ეს თვალეზი დასჭირდება მას, რათა მარდად გაჰყვეს მას იერუსალემისაკენ, სადაც მას გოლგოთა ელის.

28

მაისი

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

(15.V) წმ. ღირსი პიროს ბრეტელი, მონაზონი, VI ს

2021

პატარავი

ზირ 44,1.9-13; ფს 149; მარ 11,11-25

იწამეთ ღმერთი! მარ 11,22

გაოცდნენ. ლელვის ხე გამხმარიყო, რაკი იესომ
ვერ იპოვა მასზე ნაყოფი. დღეს გამოვიყენებ ჩემს
რწმენას, რათა ჩემმა ცხოვრებამ ნაყოფი გამოიღოს,
უფლის მოსაწონი ნაყოფი: სიყვარული, სიხარული,
მშვიდობა, მოთმინება, საკუთარი თავის მართვა,
მისდამი ერთგულება და თვინიერება ყველასადმი.

29

მაისი

რიგითი VIII კვირა [IV], მწ

2021

შაბათი

ზირ 51,12-20(17-27); ფს 18; მარ 11,27-33

რომელი ხელმწიფებით
აკეთებ ამას?

მარ 11,28

აშკარა იყო, რომ რასაც ხედავდნენ, სასწაულები და
სიბრძნის მოძღვრებანი, მხოლოდ მამის სიყვარუ-
ლიდან უნდა ყოფილიყო! არადა....!

რა იოლად ბრმავდება ადამიანი და ვერა ხედავს
სიკეთის მოქმედს, მეტიც დევნას უწყებს მას. და
ყველაფრის მიზეზი უმადურობაა. მხოლოდ მადლი-
ერი ადამიანი თუ იქნება მადლიანი.

30

მ ა ი ს ი

ყოვლადწმიდა სამება, «ბ», დდ, [ს], თ

2021

კ ვ ი რ ა

რჯლ 4,32-34.39-40; ფს 32; რომ 8,14-17; მთ 28,16-20

დაიდოწაფეთ ყველა ხალხი მთ 28,19

დღევანდელი საიდუმლო ჩვენს მზერას მიმართავს ჩვენი ღმერთის შინაგანი სიცოცხლისაკენ. იგია მამის სიყვარული, ძის დამყოლი სიყვარული, სიყვარული, რომელიც ნამდვილ ძმებად შემოგვკრებს. ჩვენი ღმერთის შემყურენი ვხედავთ ერთადერთ სიყვარულს, რომელიც მამისავით გულისხმიერს გვხდის უძლურის მიმართ, შვილივით დამყოლებს მმართველთა მიმართ, იმ სურვილით, რომ ყველა გაჰყვეს იესოს: ამაზე დიდი სიკეთე არ არსებობს.

31 მაისი

ნეტ. ქალწ. მარიამის მონახულება, დ, [ს], თ
(18.V) წმ. მოწამენი დავით და ტირიჭანი, +693

2021 ო რ შ ა ბ ა თ ი

სოფ 3,14-17 ან, რომ 12,9-16; ფს: ეს 12,2-6; ლკ 1,39-56

დიდი სამქმე მიყო ძლიერმა ლკ 1,49

ვასრულებთ მაისის თვეს ამ ზეიმით, რომელიც ყურადღებას კვლავ მარიამისაკენ მიგვაპყრობინებს. მან იცის სიყვარული, ლოცვა, გალობა და ქება, შეუძლია დაყოლა სიხარულით. ლეზულობს ელისაბედის დალოცვას და თავიანთ ღმერთზე ესაუბრება, რომელმაც გამოარჩია ისინი დიადი მისიისათვის, თავიანთი ხალხისა და სრულიად კაცობრიობის სასიკეთოდ. შევძლებ რამე ვისწავლო ჩვენი დედისაგან?